

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



განვითარების სტრატეგიული გეგმა

(2018-2024 წწ.)

“დამტკიცებულია”

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის მიერ

გადაწყვეტილება № 16/1, “26”/ 07/ 2019 წ.

რექტორი, პროფესორი

/ი. შარაბიძე/



ბათუმი 2019

სარჩევი

1	შესავალი	3
2	საზღვაო განათლების მოკლე ისტორია საქართველოში	4
3	ხედვა, მისია და მიზანი	9
4	ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება/ Strength, Weakness, Opportunity, Threat (SWOT)	11
5	საზღვაო აკადემიის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიზნები	15

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არ მათილსა და დოკუმენტის არცერთი ნაწილი აქლი თუ მს არ აქვს რევიზია „ღირებული ვეზმლარი“. რევიზია აქლი დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში აქლი მათილსა რევიზია „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი აქლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

1. შესავალი

წინამდებარე განვითარების სტრატეგიული გეგმა შედგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში ტექსტში მოხსენიებული როგორც საზღვაო აკადემია) რექტორის 2017 წლის 21 ნოემბრის N01-80 ბრძანების „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ შესაბამისად ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ და განსაზღვრავს საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო აქტივობების შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებებს, გრძელვადიან მიზნებს და ამ მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს მომდევნო 7 წლის (2018-2024 წწ) განმავლობაში.

განვითარების სტრატეგიული გეგმა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის, საზღვაო აკადემიის წესდების, შიდა ნორმატიული დოკუმენტის „განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიისა“ და სხვა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მიზნები შეესაბამება საზღვაო აკადემიის მისიას, ეფუძნება საზღვაო აკადემიის არსებულ მდგომარეობას, აგრძელებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს და ითვალისწინებს ქვეყანაში და მსოფლიოში განვითარებულ თანამედროვე ტენდენციებს.

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მიზნები და ამოცანები ორიენტირებულია სტუდენტების, მოქმედი მეზღვაურების, სხვა სტეიკჰოლდერებისა და დაინტერესებული საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მიიღონ ხარისხიანი საგანმანათლებლო, კვლევითი და საინფორმაციო მომსახურება.

წინამდებარე გეგმა მოამზადა სამუშაო ჯგუფმა, საზღვაო აკადემიის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, კურსდამთავრებელთა დამსაქმებლებისა და სხვა პარტნიორების აქტიური მონაწილეობით.

ND 2-O06-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 02.09.2010

მოგზაობა არ მათილეს დოკუმენტის არგონი ნაგედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დოკუმენტი ვე უზღვრავ“. რევიზია ასლზე დაკანონება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათილეს როგორც „არაკანონიერება“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

განვითარების სტრატეგიული გეგმას ამტკიცებს საზღვაო აკადემიის სენატი რექტორის წარდგინებით.

განვითარების სტრატეგიული გეგმის საფუძველზე უნდა შედგეს საზღვაო აკადემიის სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

2. საზღვაო განათლების მოკლე ისტორია საქართველოში

თანამედროვე ტიპის საზღვაო განათლებას საქართველოში აქვს საუკუნოვანი ისტორია. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში - 1901 წელს ნიკო ნიკოლაძის აქტიური მონაწილეობით ფოთში ჩამოყალიბდა პირველი საზღვაოსნო კლასები. 1918 წელს საზღვაო კადრების ნაკლებობის გამო ფოთში გაიხსნა საზღვაოსნო სასწავლებელი. 1921 წლიდან ბათუმში ფუნქციონირებდა სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, ხოლო 1929 წელს ბათუმის საზღვაო პორტში ჩამოყალიბდა საღამოს საზღვაო კურსები, რომელიც შემდეგ გადაკეთდა საღამოს საზღვაო ინდუსტრიულ ტექნიკუმად. ფოთის საზღვაოსნო სასწავლებელი მოქმედებდა 1930 წლამდე, 1930 წელს სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ფოთის საზღვაო ტექნიკუმი, რომელიც 1939 წელს შეუერთდა ბათუმის საზღვაო ტექნიკუმს. 1944 წლის 5 მარტს ბათუმის საზღვაო ტექნიკუმი გადაკეთდა დახურული ტიპის ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლად.

1990 წელს ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა ნოვოროსიისკის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი რომელიც 2 წლის შემდეგ 1992 წლის 30 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის №772 დადგენილების საფუძველზე დაფუძნდა, როგორც ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი.

1994 წლის 28 თებერვალს გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №121- ბუსს-ის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიად გარდაქმნის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივნისის №228 დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა საზღვაო აკადემიის დღევანდელი იურიდიული სტატუსი:

ND 2-O06-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაფასიან ფილიალში არსებითი ნაშენი ახლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტილი ვ. ზემლარი“. რევიზია ახლზე დაეკანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ახლი მათივე რევიზია „საკონსულტაციო“ ფილიალში და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ ატებს. ფილიალის ბილი და კონტროლირებადი ახლი იბილი ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

საგანმანათლებლო და სხვა სახის საქმიანობა საზღვაო აკადემიაში ხორციელდება “უმაღლესი განათლების შესახებ”, “პროფესიული განათლების შესახებ”, “მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ” საქართველოს კანონებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. საქართველო წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) წევრ ქვეყანას, ამიტომ IMO-ს მიერ აღიარებულ ნორმატიულ დოკუმენტებსა და საერთაშორისო კონვენციებს საზღვაო აკადემიისათვის აქვს კანონის ძალა.

2001 წლის 6 თებერვალს რუსეთის საზღვაო რეგისტრმა, ჩატარებული სასერიტიფიკაციო შემოწმების შედეგების მიხედვით, საზღვაო აკადემიას მიანიჭა საერთაშორისო ხარისხის სისტემის ISO 9001:1994-ის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ საზღვაო სასწავლებლებს შორის.

2017 წლის მარტში ჩატარებული საერთაშორისო აუდიტის საფუძველზე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ გაიარა საერთაშორისო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის – ISO 9001:2015-სა და IQNet-ის ხარისხის მართვის შეასაბამისობის რესერტიფიკაცია.

საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება საზღვაო კადრების მომზადების საქმეში ხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციასთან (IAMU), რომლის წევრი საზღვაო აკადემია გახდა 2006 წლის 17 ოქტომბერს.

საზღვაო აკადემია (ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე) აქტიურად თანამშრომლობს საზღვაო კადრების მომზადების აღიარებულ საგანმანათლებლო ცენტრებთან რეგიონსა და მსოფლიოში, როგორებიცაა: ოდესის ნაციონალურ საზღვაო აკადემია (ONMA), აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (ASMA), ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საზღვაო აკადემია (EMA), გდინის (GMU) და

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არსებითი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „არსებული ვერსიის“ რევიზია ანუ დაატანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ მათი დოკუმენტი არ არის რევიზიის საგანი. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდი www.office.bma.edu.ge

შეცინის (SMU) საზღვაო უნივერსიტეტები პოლონეთში, სტამბოლის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საზღვაო ფაკულტეტი (ITU MF), კონსტანცის საზღვაო უნივერსიტეტი (CMU) და სხვა. საზღვაო აკადემიის თანამშრომლობა უცხო ქვეყნების საზღვაო განათლების ცენტრებთან და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებთან მიზნად ისახავს ქართული საზღვაო სკოლის სტატუსის ამაღლებას და ჩვენს მიერ მომზადებული/გადამზადებული კადრების დასაქმების ხელშეწყობას შრომის საერთაშორისო ბაზარზე.

საზღვაო აკადემიამ 2004 და 2006 წლებში წარმატებით გაიარა სახელმწიფო ინსტიტუციური აკრედიტაცია, 2011 წელს ავტორიზაცია, ბაკალავრიატის 5 და მაგისტრატურის 2 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია. 2012-2016 წლებში აკრედიტებულ პროგრამებს დაემატა ბაკალავრიატის 4 და მაგისტრატურის 5 საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიის სტუდენტთა დასაშვებმა კონტიგენტმა შეადგინა - 3000 სტუდენტი, აქედან 500 სტუდენტი პროფესიული განათლების საფეხურზე.

3. საზღვაო აკადემიის არსებული მდგომარეობა

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია 2018 წლის 5 მარტის მდგომარეობით ახორციელებს:

- 3.1. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის 9 საგანმანათლებლო პროგრამას;
- 3.2. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის – მაგისტრატურის 5 საგანმანათლებლო პროგრამას;
- 3.3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას;
- 3.4. პროფესიულ განათლების მე-3 საფეხურის 5, მე-4 საფეხურის 3 და მე-5 საფეხურის 2 საგანმანათლებლო პროგრამას;

ND 2-O06-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არსებითი ნაწილი ანუ ის, რაც არ არის რევიზიაში აღნიშნული. რევიზიაში აღნიშნული დოკუმენტის პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ანუ მოთხოვნის მიხედვით. არსებული დოკუმენტი და მისი ბარისის სამსახური პასუხისმგებელს არ აქვს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

- 3.5. მოქმედ მეზღვაურთა კვალიფიკაციის განახლების/ამაღლების 39 საწვრთნელ კურსს;
- 3.6. რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის მომსახურე პერსონალის მომზადების/გადამზადების 5 საწვრთნელ კურსს;
- 3.7. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ხასიათის საქმიანობას.

2018 წლის 5 მარტის მდგომარეობით საზღვაო აკადემიაში უმაღლესი განათლების საფეხურზე ირიცხება 2110 აქტიური და 820 სტატუსშეჩერებული სტუდენტი, პროფესიული განათლების პროგრამებზე 151 სტუდენტი.

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს პროფესიული მომზადების ცენტრი, ხოლო მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი ახორციელებს მოქმედ მეზღვაურთა მომზადების/გადამზადების სასერტიფიკაციო კურსებს.

საგანმანათლებლო პროცესს ემსახურება 72 არჩეული პროფესორით დაკომპლექტებული აკადემიური პერსონალი:

- პროფესორი - 12;
- ასოცირებული პროფესორი - 43;
- ასისტენტ პროფესორი - 5;
- ასისტენტი - 11.

სასწავლო პროცესში ასევე ჩართულია კონკურსის წესით შერჩეული 77 მოწვეული პედაგოგი, რომელთა უმრავლესობას აქვს ინდუსტრიაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მდიდარი წიგნადი და ელექტრონული სასწავლო რესურსების მქონე ბიბლიოთეკით და თანამედროვე ტექნიკური

მოწყობილობებით აღჭურვილი საწვრთნელი გემით, ლაბორატორიებით, კაბინეტებით, სიმულატორებით და საამქროებით:

- სასწავლო ლაბორატორიები (ფიზიკა; ტექნიკური მექანიკა);
- IT კლასები;
- კომპეტენციათა რეგიონული ცენტრი საკრუიზო ტურიზმში;
- საინჟინრო გრაფიკის კაბინეტი;
- უსაფრთხოების კაბინეტი;
- FESTO-ს ლაბორატორიები (ელექტროტექნიკა; ავტომატიკა; ჰიდრავლიკა; პნევმატიკა);
- საწვრთნელი გემი - CADET;
- სანავიგაციო კაბინეტები;
- GMDSS-ის ტრენაჟერი;
- პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი;
- სამანქანო დარბაზი;
- TRANSAS-ის სიმულატორული სანავიგაციო და სამანქანო ტრენაჟერები;
- მეთევზე მეზღვაურის სიმულატორი;
- შედუღების საამქრო და სიმულატორი;
- ამწე-კრანის სიმულატორი;
- სახარატე საამქროები;
- ცეცხლთან ბრძოლის ტრენაჟერი;
- სამამველო კანჯოს ტრენაჟერი და სხვა.

საგანმანათლებლო პროცესში აგრეთვე აქტიურად გამოიყენება საზღვაო აკადემიის პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობები, რომელიც კარგად

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არსებითი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი ვერსიის“ რევიზია ანუ დაატანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ მათი დანიშნულება არის „დოკუმენტი“ დოკუმენტი და მასზე ბარიერის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდი www.office.bma.edu.ge

ავითარებს სტუდენტთა ინდუსტრიაში საქმიანობისათვის საჭირო უნარებს და ამით მკვეთრად ზრდის კურსდამთავრებულთა წარმატებული დასაქმების შესაძლებლობებს.

4. ხედვა, მისია და ღირებულებები

ხედვა

ჩვენ ვესწრავით გადავაქციოთ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია შავი და კასპიის ზღვის რეგიონის წამყვან საგანმანათლებლო ცენტრად საზღვაო და მომიჯნავე დარგებში¹.

ჩვენი დევიზია: ღირსება, ცოდნა, გამოცდილება (Honor, Disciplina, Experientia)

მისია

საზღვაო აკადემიის მისიაა:

- შეასრულოს საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების, კვლევების განხორციელების და ცოდნის საზოგადოებაში გავრცელების საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია;
- უზრუნველყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და

¹ მომიჯნავე დარგებში იგულისხმება საზღვაო ტრანსპორტის, საზღვაო ტურიზმის, საზღვაო ინდუსტრიის სხვა დარგების, ლოჯისტიკისა და ინჟინერიის ექსპლუატაციასთან და მართვასთან დაკავშირებული კვალიფიკაციები.

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოგზაოდ არ მათილეს დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ ეს არ არის რევიზია „ღირებულებების რევიზია“ ასევე დაიკანონა პროფესორ პანაბინაშვილის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ მათილეს რაიმე „რევიზია“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებელი არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კვლევის უნარებით აღჭურვილი პასუხისმგებლიანი სპეციალისტებისა და ლიდერების მომზადება თანამედროვე სტანდარტების პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და უწყვეტი განათლების საწვრთნელი კურსების საფუძველზე;

- იხელმძღვანელოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებით და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება;
- გაზარდოს საკუთარი სასწავლო და კვლევითი პოტენციალი საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო და დამსაქმებელ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების გზით;

ღირებულებები და პასუხისმგებლობა

1. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენზე დაკისრებულია სწავლების, კვლევის და ახალი ცოდნის შექმნის განმახორციელებლების როლი საზღვაო განათლების სფეროში;
2. ვაცნობიერებთ, რომ ვალდებული ვართ ხელი შევუწყოთ ცოდნისა და პროფესიული პრინციპების გავრცელებას საზოგადოებაში;
3. ვაცნობიერებთ, რომ საგანმანათლებლო პროცესი და საგანმანათლებლო პროგრამები უნდა იყოს ორიენტირებული:
 - სტუდენტის ინტერესებზე;
 - ცოდნაზე, უნარების განვითარებასა და პროფესიონალიზმზე;
 - სწავლის შესაძლებლობაზე ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე;
 - ეთიკისა და მოქალაქეობის განცდის განვითარებაზე;
 - ინოვაციებზე და ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე;

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებების რევიზია“ ანუ დატანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ მათი დოკუმენტი არ არის რევიზია და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდი www.office.bma.edu.ge

- საზოგადოების წევრების პატივისცემასა და ტოლერანტობაზე;
 - გარემომცველი სამყაროს დაცვაზე.
4. გვაქვს ინტელექტუალური ზრდის რწმენა;
 5. გვჯერა ისეთი აზროვნების დამკვიდრებისა, რომელიც გულისხმობს თავისუფლად შეკითხვის დასმას, სხვისი თვალსაზრისის პატივისცემას, დასაბუთებული კვლევითი ხასიათის შეკითხვების ფორმულირებას;
 6. გვჯერა, ისეთი აზროვნების დამკვიდრებისა, რომელიც გულისხმობს კოლეგიური დიალოგისა და დებატების შესაძლებლობას სტუდენტების, პერსონალისა და მასწავლებლების საზოგადოებაში, რის შედეგადაც შესაძლებელია, ყველასათვის მისაღები კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება;
 7. გვჯერა, რომ წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობით აკადემიის მთელ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელ ორგანიზაციებთან, პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დაინტერესებულ საზოგადოებასთან;
 8. გვჯერა, რომ სწავლებასა და კვლევას აქვს ურთიერთშემავსებელი მნიშვნელობა.

5. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება/ Strength, Weakness, Opportunity, Threat (SWOT)

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
მრავალწლიანი დარგობრივი განათლების განხორციელების წარმატებული გამოცდილება;	დაფინანსებული საკვლევი და საგანმანათლებლო პროექტების სიმცირე;

ND 2-O06-01
 სტატუსი: მოქმედი
 რევიზია № 5
 რევიზიის თარიღი 26.07.2019
 მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არსებითი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „აღრევილი ვერსიის“ რევიზია ანუ დაატანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ მათი დროის „არსებობის“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ანუ იხილი ვებგვერდი www.office.bma.edu.ge

პარტნიორული თანამშრომლობითი კავშირები ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან;	სასწავლო საწვრთნელი რესურსების და ფინანსების არასაკმარისობა;
საზოგადოების მაღალი ინტერესი აკადემიაში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე და გადამზადების კურსებზე;	სასწავლო საწვრთნელი ფართის ნაწილის რეაბილიტაციის საჭიროება;
ბათუმი - სატრანსპორტო კვანძი და სწრაფადგანვითარებადი ტურისტული რეგიონის ცენტრი;	აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადებისათვის საჭირო ღონისძიებების უკმარისობა;
გამჭვირვალე და კონკურენტულ პირობებში შერჩეული კომპეტენტური პერსონალი;	კვლევითი აქტივობის დაბალი დონე;
დარგობრივი სპეციფიკის მქონე მდიდარი, რეგულარულად განახლებადი სასწავლო და საინფორმაციო ლიტერატურით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;	უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების არ არსებობა, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო რაოდენობის აკადემიური პერსონალის სიმცირე
ბიბლიოთეკის მდიდარი და ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსები;	საკვლევო ნაშრომების რეფერირებად გამოცემებში გამოქვეყნების დაბალი მაჩვენებელი;
სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი თანამედროვე, მულტიმედია განახლებადი	ინტერნაციონალიზაციის, უცხოელი პროფესორებისა და სტუდენტების

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოგზაოდ არ მიაღწევს დოკუმენტის არცერთ ნაწყვეთს ან თუ მას არ აქვს რევიზია „დოკუმენტი ვერ მოხერხდა“. რევიზია ასევე დაიკანონა პროფესორ პანაბინაძის მიერ. წინასწარ შეთანხმებულია ასევე მიაღწევს რევიზია „ინტერნაციონალიზაცია“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ ატარებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასევე იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

ტექნიკური აღჭურვილობა, ლაბორატორიები, დარგობრივი კაბინეტები, სასწავლო-სადემონსტრაციო მოწყობილობები, სიმულატორები, სასწავლო სახელოსნოები და სხვა;	მოზიდვის, დასაქმებისა და მომსახურების პოლიტიკის არ არსებობა;
დარგობრივი განათლების განხორციელებაზე ადაპტირებული სასწავლო გარემო;	გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების არასაკმერისი რაოდენობა;
მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობა სასწავლო პროცესში;	თანამშრომლობის არ არსებობა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამომცემლობებთან;
პარტნიორობა და თანამშრომლობა რეგიონისა და მსოფლიოს წარმატებულ დამსაქმებელ ორგანიზაციებთან;	უწყვეტი საქმიანობისათვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის არასაკმარისი რაოდენობა;
თანამშრომლობა შავი ზღვის რეგიონის წამყვან საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მასწავლებელთა პერსონალის სტაბილური შემადგენლობის არ ქონა;
საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობის მართვა ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის – ISO 9001:2015-ის სტანდარტების შესაბამისად	პროფესიული სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის ინდუსტრიაში გავლის შესაძლებლობების სიმწირე;

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაიღებს დოკუმენტის არსებითი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ვერსიის რევიზია ანუ დატანა პროცესში კანონმდებელი პარლამენტის მიხედვით. წინასწარ შეთანხმებაში ანუ მათივე რევიზია „დრეფტი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური კანონმდებლის არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ანუ იხილი ვებგვერდი www.office.bma.edu.ge

(ISO 9001:2015-ის სერტიფიკატი, IQNet-ის სერტიფიკატი)	
საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაციის (IAMU) და შავი ზღვის ქვეყნების საზღვაო ინსტიტუტთა ასოციაციის (BSAMI) წევრობა.	კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან არასაკმარისი კომუნიკაცია და საგანმანათლებლო საქმიანობაში პასიური ჩართულობა;
	სტუდენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესაძლებლობებისა და კურიკულუმსგარე სერვისების არასაკმარისობა.

საფრთხეები:	შესაძლებლობები:
მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა დაბალი ანაზღაურება (საზღვაო სატრანსპორტო გემებზე დასაქმებულთა ანაზღაურებასთან შედარებით) არ იძლევა თანამედროვე დარგობრივი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი კადრების ხანგრძლივ ჩაბმას საგანმანათლებლო პროცესში;	ხელმძღვანელობა მზად არის განახორციელოს ყველა ის ცვლილება, რომელიც აამაღლებს უმაღლესი და პროფესიული განათლების დონეს საზღვაო აკადემიაში და ქვეყანაში;
დაფინანსების გაზრდის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე რესურსტევადი საზღვაო განათლების სრულფასოვანი უზრუნველყოფა, რაც მომავალში შესაძლებელია გახდეს	საქართველოს და ადგილობრივ ხელისუფლებისა და დამსაქმებლების ფინანსური დახმარებით შესაძლებელია სასწავლო კორპუსების დაკომპლექტება თანამედროვე საწვრთნელი და

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოგზაურობა არ მათილსა და დოკუმენტის არგონი ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღივებული ვერსიონი“. რევიზია ასევე დაატანა პროცესს პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ასლი მათილსა რევიზია „არასტრუქტურული“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge

საერთაშორისო აღიარების შეწყვეტის მიზეზი.	ტრენაჟერული აღჭურვილობით;
შავი ზღვის რეგიონის საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულებების მზარდი აქტივობა.	ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედება უმაღლესი განათლების სამივე დონეზე და პროფესიულ განათლებაში;
	უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედება უმაღლეს და პროფესიულ დონეებზე.

6. საზღვაო აკადემიის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიზნები

განვითარების სტრატეგიული გეგმა აგებულია პრიორიტეტებზე, რომელიც საფუძვლად უდევს საზღვაო აკადემიის სტუდენტებისა და მსმენელების სწავლის, აკადემიური მიღწევებისა და დასაქმების მაჩვენებლებს.

2018-2024 წლებში საზღვაო აკადემიის საქმიანობაში პრიორიტეტული იქნება:

6.1. სტუდენტთა აკადემიური და პროფესიული წარმატებების მაღალი დონის მიღწევა;

აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის საზღვაო აკადემიის მიმზიდველობას პირველ რიგში განაპირობებს კურსდამთავრებულთა კარგი და მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობა. წარმატებული დასაქმებისათვის კურსდამთავრებულის აკადემიური წარმატება და პროფესიული პროფილი უნდა ეფუძნებოდეს დასაქმების ბაზრის მუდამ ცვლად მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებზე, ხოლო სწავლებას უნდა ახორციელებდეს კარგად მომზადებული, პროფესიული გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური აკადემიური და პედაგოგიური პერსონალი. მომზადების მაღალი დონე საშუალებას აძლევს ჩვენს კურსდამთავრებულებს დარჩნენ მოთხოვნადი, როგორც საზღვაო ინდუსტრიაში, ასევე

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაიღებს ფიქსირების არცერთი ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრევილი ვ. ზემლარი“. რევიზია ასევე დაატანა პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ასლი მათთვის როგორც „არაკონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე სარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

ეკონომიკის სხვა, მომიჯნავე სფეროებში დასასაქმებლად. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი სტუდენტები ღებულობენ ხარისხიან განათლებას და მათი აკადემიური მომზადების დონე საკმარისად მაღალია. მართალია, მაღალი სტანდარტის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელია კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალის დაქირავება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მაღალი აკადემიური პროფილის უზრუნველსაყოფად. აკადემიური წარმატება იწყება ისეთი სტუდენტური კონტინენტის შერჩევით, რომელსაც შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსებით მოთხოვნილი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ათვისება. კარგად მომზადებული აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით საზღვაო აკადემია რეგულარულად სტუმრობს აჭარისა და საქართველოს სხვა რეგიონების სკოლებს, სადაც პოტენციური სტუდენტების წინაშე წარმოაჩენს აკადემიის კურსდამთავრებულთა კარიერულ პერსპექტივებს საზღვაო ინდუსტრიასა და მომიჯნავე სფეროებში. ამ გზით საზღვაო აკადემია პოპულარიზაციას უწევს საზღვაო განათლებას და ცდილობს დააინტერესოს პოტენციური სტუდენტების მაქსიმალურად დიდი რაოდენობა.

რაც შეეხება სტუდენტებს, რომლებსაც უკვე დასრულებული აქვთ ბაკალავრიატის დონე (მიღებული აქვთ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი), საზღვაო აკადემია თავაზობს სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში, ისეთ სამაგისტრო პროგრამებზე, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას მართვის პრინციპებსა და მეთოდებში ტრანსპორტის სფეროსა და ბიზნესის სხვა დარგებში, განავითარებს მათში კვლევის უნარებს.

საზღვაო აკადემიას შეუძლია ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის საზღვაო სექტორის ინტეგრაციას ევროპულ და საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში, თუ ავამოქმედებთ ინგლისურ ენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს და გავზრდით უცხოელი სტუდენტების რაოდენობას, განვავითარებთ თანამშრომლობას ევროპულ და მსოფლიოს საზღვაო ინსტიტუციებთან და ტრანსნაციონალურ დამსაქმებელ ორგანიზაციებთან. ჩვენთან დიპლომირებული უცხოელი სტუდენტების კარიერული

ND 2-O06-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არსებითი ნაწილი ანუ ეს არ არის რევიზია „დოკუმენტი ვეზუმლარ“. რევიზია ასევე დაკავშირებულია პროცესში პასუხისმგებელი პირის მოახლოებით. წინასწარ შეთანხმებული ანუ მათთვის რევიზია „არსებობს“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებელს არ აქვს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდი www.office.bma.edu.ge

წარმატება მათ ქვეყნებში იქნება საზღვაო აკადემიის საერთაშორისო წარმატების მაჩვენებელი.

6.2. სტუდენტთა საზღვაოსნო პრაქტიკით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

საზღვაო აკადემიის მისიის განხორციელების და წარმატებული ფუნქციონირების ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს სტუდენტების უზრუნველყოფა სრულყოფილი საწარმოო პრაქტიკით. ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია საზღვაო აკადემიაზე საწვრთნელი გემის „CADET“-ის გადაცემა 2018 წლის 3 იანვარს, რომლის დანიშნულებაც საზღვაოსნო სპეციალობის სტუდენტებისათვის სრულყოფილი საცურაო პრაქტიკის გავლა.

საწვრთნელი გემი „CADET“-ი ძველი გემია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის საჭიროებს გარკვეული ტიპის სარემონტო და მოსამზადებელ სამუშაოების ჩატარებას იმისათვის, რომ გემმა სრულად დააკმაყოფილოს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციისა (IMO) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მოთხოვნები მეზღვაურთა მომზადების სტანდარტებსა და ზღვის გარემოს დაცვის ნორმებზე.

საწვრთნელი გემის სრულყოფილად ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში არა მარტო გააუმჯობესებს სტუდენტთა პრაქტიკულ მომზადებას რეალურ სამუშაო გარემოში, არამედ გაზრდის მათდამი გემთმფლობელი და საკრუინგო კომპანიების ინტერესს და შესაბამისად გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს.

საწვრთნელი გემი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნითაც, მისი საშუალებით შესაძლებელია ზღვის გარემოს კვლევასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის პროექტებისა და პროგრამების განხორციელება. საწვრთნელი გემის მრავალმხრივი გამოყენება ხელს შეუწყობს საზღვაო აკადემიის ხანგრძლივი პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას გემთმფლობელ და საკრუინგო კომპანიებთან, ზღვის გარემოს შემსწავლელ ინსტიტუციებთან და გარემოს დაცვის სამსახურებთან.

ND 2-O06-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაიღებს დოკუმენტის არსებით ნაწილში ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დოკუმენტი ვეზულარი“. რევიზია ასლი დაატანს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათივე რევიზია „რევიზიის რევიზია“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებელს არ ღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირება ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

6.3. სტუდენტთა ხელშეწყობისა და მომსახურების სამსახურის განვითარება;

კურსდამთავრებულების კარიერულ წარმატებას არ განაპირობებს მხოლოდ ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელსაც ისინი ეუფლებიან მაღალკვალიფიცირებული პედაგოგიური პარსონალის დახმარებით, სასწავლო კურსების, ლაბორატორიების, საწარმოო პრაქტიკის და საგანმანათლებლო პროგრამის სხვა სასწავლო აქტივობების გავლის შედეგად. გარდა ამისა, წარმატების მისაღწევად კურსდამთავრებულებს უნდა გააჩნდეთ ძირითადი ცხოვრებისეული უნარები, მათ უნდა შეეძლოთ მსჯელობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კრიტიკულად აზროვნება, სწორი დასკვნებისა და გადაწყვეტილების მიღება და სხვა. ამ უნარების განვითარებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესით დაგეგმილი აქტივობები, საჭიროა სტუდენტების ჩართვა სხვადასხვა სპორტულ, მხატვრულ და შემეცნებით ღონისძიებებსა და კონკურსებში, სტუდენტურ პროგრამებში, ხელი უნდა შევუწყოთ ექსკურსიებისა და მოგზაურობებების ორგანიზებაში და სხვა. ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ სტუდენტთა მომსახურების სამსახური და ჩავრთოთ სტუდენტები აქტივობებში არა მხოლოდ სასწავლებლის შიგნით, არამედ მის გარეთაც. სტუდენტების ჩართულობა კურიკულუმს გარეთა აქტივობებში ხელს შეუწყობს მათში ჯგუფში მუშაობისა და ლიდერობის უნარების განვითარებას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა ცალკე განხილვას იმსახურებს სტუდენტთა სოციალური და საყოფაცხოვრებო გარემო. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სხვა რეგიონებიდან და უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტებს, რომლებიც საზღვაო აკადემიაში სასწავლო პროცესზე დასასწრებად საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის ქირაობას. სამწუხაროდ საზღვაო აკადემიას სტუდენტურ საერთოსაცხოვრებელში (კამპუსი) აქვს შეზღუდული რაოდენობის ადგილები, ამიტომ ვერ აკმაყოფილებს ყველა მსურველს საცხოვრებელი ფართით. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ორი გზით: ერთი, სტუდენტური კამპუსის მოწყობით (აშენებით); მეორე, ქალაქის ფარგლებში საცხოვრებლების გამქირავებლებთან ან/და სამაკლერო

ND 2-O06-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაიღებს ფილტვის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტილი ვ. ზემლარი“. რევიზია ასევე დაატანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოახდინა წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიიღება როგორც „სტრუქტურული“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. ფილტვისხის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

სამსახურებთან დაკავშირება და მათთან თანამშრომლობით სტუდენტებისათვის საცხოვრებელი ფართების შეთავაზება. ანალოგიური ფუნქცია შეიძლება დაეკისროს სტუდენტთა მომსახურების სამსახურს.

სტუდენტთა მომსახურების სამსახურის ფუნქციონირების ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა განისაზღვროს სოციალურად სუსტი ოჯახებიდან ჩარიცხული სტუდენტების მხარდაჭერა და მათთვის მატერიალური დახმარებისათვის რესურსების მოძიება, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებში ასევე, დამსაქმებელ ორგანიზაციებისა და კერძო საქველმოქმედო ფონდებში.

6.4. პროფესიული განათლების განვითარება;

პროფესიული განათლების სწრაფი განვითარება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთერთ პროორიტეტულ ამოცანას ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევისა და მოკლევადიან პერსპექტივაში სოციალ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.

ეროვნული შრომის ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ სატრანსპორტო, სამშენებლო, სამომხმარებლო, ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროები განიცდის პროფესიონალი კადრების მწვავე ნაკლებობას, ბაზარი გაჯერებულია პერსონალით, რომელსაც ან საერთოდ არა აქვს გავლილი არანაირი პროფესიული მომზადება ან მათი კვალიფიკაცია ვერ პასუხობს ინდუსტრიის თანამედროვე მოთხოვნებს. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოს მოქალაქეების დასაქმების პერსპექტივებს და ინიცირებას უწევს კვალიფიცირებული კადრების უცხოეთიდან შემოძინებას, რაც ცუდად აისახება მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლებზე და შესაბამისად საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ტემპზე.

საზღვაო აკადემიას აქვს პედაგოგიური და მატერიალური რესურსი პროფესიული განათლების ისეთი დარგების განვითარებისათვის, როგორცაა რიგითი მეზღვაურების, მეთევზე-მეზღვაურების, ამწეს ოპერატორების, შემდუღებლების, ლოჯისტიკის ოპერატორების და ტრანსპორტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული

ND 2-O06-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაიღებს ფიქსირებული არცერთი ნაგებობა ან სხვა არსებული რევიზიის „დოკუმენტი“. რევიზია ასევე დაკავშირებულია პროექტის განხორციელების მიზნით. წინასწარ შეთანხმებულია სხვა მათთვის როგორც „სტატუსის რევიზია“ დოკუმენტი და მასზე ბარის სამსახური განხორციელებისას არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

სხვა დარგების პროფესიული დონის სპეციალისტების მოსამზადებლად ან/და გადასამზადებლად.

ამ მიმართულებით საზღვაო აკადემიისათვის პრიორიტეტული იქნება:

- თანამედროვე ინდუსტრიის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განვითარება;
- პედაგოგებად დარგის პროფესიონალების მოწვევა ინდუსტრიიდან მათი მომზადება/გადამზადება და ადაფტირება სასწავლო გარემოსთან;
- საწარმოო პრაქტიკების განხორციელება ინდუსტრიის შესაბამის სექტორში;
- მომზადების მაღალი ხარისხის სტანდარტების უზრუნველყოფა და საერთაშორისო აღიარების მიღება.

6.5. უწყვეტი განათლებისა და დისტანციური სწავლების სისტემის განვითარება;

თანამედროვე საზღვაო განათლებაში სწრაფად იცვლება არა მხოლოდ სწავლების მატერიალური საშუალებები, ასევე სწრაფად იცვლება სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომელიც მოითხოვს ადრე არსებულისგან განსხვავებულად ორგანიზებულ სასწავლო სივრცეებსა და აუდიტორიებისა. ლაბორატორიებისა და საწვრთნელი დარბაზების განსხვავებულ მოწყობას, მათ აღჭურვას სპეციალური ტექნიკური მოწყობილობებით, სიმულატორებითა და სხვა საწვრთნელი აღჭურვილობით.

საზღვაო აკადემიის კორპუსებში განთავსებული მატერიალურ-ტექნიკური და საბიბლიოთეკო ბაზა ძირითადად განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩართული არიან სწავლების დასრულებულ ფორმატში, მაგრამ ინტერნეტისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია სწავლების ისეთი მეთოდების განვითარება, რომელიც არ გულისხმობს სტუდენტის ყოფნას სასწავლო აუდიტორიაში და მათი საშუალებით შესაძლებელია სასწავლო ინფორმაციის სტუდენტზე მიწოდება დიდ დისტანციებზე. სწავლების ასეთი ფორმა განსაკუთრებით სასარგებლო და მოსახერხებელი იქნება იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც მუშაობენ

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არცერთი ნაწილი ან/და თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ვერსიისა. რევიზია ახლედ დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ან/და მითითება რევიზია „კონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ან/და იხილეთ ვებგვერდი www.office.bma.edu.ge

ან პრაქტიკას გადიან სასწავლებლიდან მოშორებით, დიდ მანძილებზე (ძირითადად აქ იგულისხმება გემებზე პრაქტიკის გავლის, ან სამუშაოდ წასული სტუდენტები).

ელექტრონული და დისტანციური სწავლება მნიშვნელოვანი თანამედროვე გამოწვევაა, ამიტომ საზღვაო აკადემია უახლოეს ათწლეულში გეგმავს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას.

გარდა პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა საზღვაო აკადემია ასევე ახორციელებს მოკლევადიან მომზადების/გადამზადების კურსებს საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმებული პერსონალისათვის. აღნიშნულ კურსებზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება და მათი მნიშვნელობა საზღვაო სფეროში დასაქმებული პერსონალის მაღალი პროფესიული სტატუსის შენარჩუნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, გამომდინარე აქედან საზღვაო აკადემია სამომავლოდ გეგმავს მოკლევადიანი საწვრთნელი კურსების განვითარებასა და უწყვეტი განათლების განმახორციელებელ საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბებას.

6.6. საზღვაო აკადემიის რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება;

განათლება და კერძოდ უმაღლესი განათლება წარმოადგენს სოციალური აქტივობის ერთერთ ყველაზე კონსერვატიულ სფეროს, სადაც ცვლილებებისა და რადიკალური რეფორმების გატარება დიდი წინააღმდეგობების დაძლევისთანაა დაკავშირებული, როგორც მატერიალური რესურსების მოდერნიზაციის, ასევე ადამიანური რესურსების ახალ გამოწვევებთან ადაპტირების თვალსაზრისით.

საზღვაო აკადემიის წარმატება დამოკიდებულია, რამდენად ადექვატურად პასუხობს ის თანამედროვე, გლობალიზებული და სწრაფად ცვლადი საზღვაო ინდუსტრიის გამოწვევებს. კვალიფიკაციებზე საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებამ გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნების საზღვაო სასწავლებლებში ერთიდაიმავე კვალიფიკაციის სპეციალისტის მოსამზადებლად თითქმის იდენტური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სადაც მომზადება ხორციელდება

ND 2-O06-01
სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 02.09.2010

მოგზაოდ არ მიაღწიას ფოკუსირების არცერთი ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრევილი ვ. ზემლარი“. რევიზია ასევე დაატანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწიას როგორც „საკონტროლორებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. ფოკუსირების ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

მსგავსი მატერიალური რესურსების გამოყენებით. ასეთ სიტუაციაში აბიტურიენტის მიერ სასწავლებლის შერჩევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასწავლებლის მიერ განათლების განხორციელებასთან დაკავშირებული მატერიალური და ადამიანური რესურსების ხარისხზე და მდგომარეობაზე, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს.

საზღვაო აკადემია ცდილობს დაიმკვიდროს დამსახურებული, მაღალი რეპუტაცია სხვა ანალოგიური ტიპის სასწავლებლებს შორის, როგორც საქართველოში ასევე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში. საზღვაო აკადემია სთავაზობს საზღვაო და მომიჯნავე სფეროში საქმიანობის მსურველებს მაღალი დონის განათლების მიღებას. საზღვაო აკადემიაში გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი კურსდამთავრებულისათვის უნდა გახდეს წარმატების მთავარი გასაღები დასაქმების გლობალურ ბაზარზე, რადგან ის გულისხმობს ღრმა ცოდნას, პრობლემების გადაჭრის უნარს, პროფესიულ კომპეტენციას, ძლიერ ხასიათს, ღირსეულ თანამშრომელს, უნარიან ლიდერს, რაც დამსაქმებლებისათვის აქცევს მას მუდამ სასურველ კადრად საზღვაო და მომიჯნავე სფეროებში.

6.7. პარტნიორული თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიურობის გაძლიერება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საგანმანათლებლო საქმიანობაში მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით ეროვნულ და უცხოელ პარტნიორებთან. პარტნიორებში საზღვაო აკადემია მოიაზრებს საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებს, საზღვაო და მომიჯნავე სფეროში მოქმედ დამსაქმებელ ორგანიზაციებს, საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულებს, სტუდენტთა მშობლებს და საზოგადოების ე.წ. დაინტერესებულ პირებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზღვაო აკადემიის თანამშრომლობას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან, რომელსაც წარმოადგენს საზღვაო სფეროში

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მანდატის მქონე მარეგულირებელ ორგანოს საქართველოში.

6.8. სტრატეგიული მიზნები

მისიიდან, ძირითადი პრიორიტეტებიდან და SWOT-ანალიზიდან გამომდინარე, საზღვაო აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა და ჩამოაყალიბა საზღვაო აკადემიის განვითარების 13 სტრატეგიული მიზანი (მიზნებისა და ამოცანების წარმოდგენილი თანმიმდევრობა არ გამოხატავს მათ პრიორიტეტულ იერარქიას და გააჩნიათ თანაბარი მნიშვნელობა) მომდევნო 7 წლის (2018-2024 წწ) ვადაში:

- მიზანი 1. განათლების უზრუნველყოფა ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი, უწყვეტად განახლებადი, ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამებით;*
- მიზანი 2. სწავლის, სწავლებისა და წვრთნის ხარისხის გაუმჯობესება;*
- მიზანი 3. სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის უნივერსიტეტად გარდაქმნის პროცესის დაწყება;*
- მიზანი 4. სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;*
- მიზანი 5. უწყვეტი განათლებისა და დისტანციური სწავლების განვითარება;*
- მიზანი 6. სასწავლო, საწვრთნელი და კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება;*
- მიზანი 7. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობი მექანიზმების დახვეწა;*
- მიზანი 8. სამუშაო პირობების გაუმჯობესება;*

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაფასიან დოკუმენტის არსებითი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ვერსიის რევიზია ანუ დოკუმენტი დაიკანონა პროცესში პასუხისმგებელი პირის მოხელის მიხედვით. წინასწარ შეთანხმებაში ანუ მათივე რევიზია „დრეფტი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ანუ იბილი ვებგვერდი www.office.bma.edu.ge

მიზანი 9. თანამშრომლობის გაძლიერება დასაქმების სფეროსთან, დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებთან;

მიზანი 10. თანამშრომლობის გაძლიერება ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან, ინტერნაციონალიზაციის განვითარება;

მიზანი 11. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;

მიზანი 12. საზღვაო აკადემიის მართვის ხარისხის გაუმჯობესება, ხარისხის სისტემის განვითარება. საზღვაო აკადემიის რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება;

მიზანი 13. სტუდენტზე ორიენტირებული სერვისებისა და კარიერული განვითარების მექანიზმების დანერგვა.

6.9. სტრატეგიული მიზნები პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით

საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების სეგმენტზე ვრცელდება 6.8 პუნქტში ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიზნები, მაგრამ გამომდინარე პროფესიული განათლების მნიშვნელობიდან და საზოგადოებისა და სახელმწიფოს მაღალი ინტერესიდან სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა საზღვაო აკადემიაში პროფესიული განათლების განვითარებისათვის განსაზღვრა და დამატებით ჩამოაყალიბა 4 სტრატეგიული მიზანი:

მიზანი.1. თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად დარგის მოქმედი სპეციალისტების მოზიდვის, მათი პედაგოგებად და ტრენერებად მომზადებისა და განვითარების მექანიზმების ჩამოყალიბება;

მიზანი.2. პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო სასწავლო და საწვრთნელი რესურსებისა და ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება,

პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფა სრულფასოვანი საწარმოო პრაქტიკით;

მიზანი.3. დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი კვალიფიკაციების ამაღლების და გადამზადების მოკლევადიანი ტრენინგ კურსების განვითარება;

მიზანი.4. კურსდამთავრებულებზე მინიჭებული კვალიფიკაციების ცნობადობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა.

7. მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ძირითადი ამოცანები და შესრულების მაჩვენებლები

დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საზღვაო აკადემიამ მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად უნდა გადაჭრას ლოკალური ამოცანები, რომელიც უნდა აისახოს შესაბამის მოკლევადიან 3-წლიან სამოქმედო გეგმაში და სტრუქტურული ერთეულების წლიურ სამუშაო გეგმებში.

მიზანი 1. განათლების უზრუნველყოფა ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი, უწყვეტად განახლებადი, ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამებით

ძირითადი ამოცანები:

1. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება განახლებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად;
2. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შედარება ევროპულ კლასიფიკატორთან და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
3. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის გაკეთება პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში მოქმედ ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან;

4. დასაქმების ბაზრის რეგულარული კვლევა და შედეგების გათვალისწინება საგანმანათლო პროგრამების განვითარებისა და ახალი ტენდენციების გამოვლენისათვის;
5. საგანმანათლებლო პროგრამების საკვალიფიკაციო მოთხოვნების უწყვეტი ანალიზი დასაქმების ბაზრის, სახელმწიფო მარეგულირებელი სამსახურებისა და სხვა დაინტერესებული პირების სრულფასოვანი ჩართულობით;
6. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და დანერგვა;
7. პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და დანერგვა;
8. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ამოქმედება;
9. ხარისხის მექანიზმების დახვეწა და განვითარება რეგულარული აკრედიტაციის თვითშეფასების უზრუნველსაყოფად;
10. საერთაშორისო სასერტიფიკატო ორგანოების მოთხოვნებთან შიდა მდგომარეობის შესაბამისობის ანალიზი და რეგულარული შეფასება;
11. მართვის ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის დანერგვის მიზნით აკადემიის მომზადება და იმპლემენტაცია.

შესრულების მაჩვენებლები:

- საზღვაო აკადემიის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია განათლების ეროვნული და ევროპული კლასიფიკატორების სტანდარტებთან და დადასტურებულია გარე შეფასებით;
- მეზღვაურთა მომზადების პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები აღიარებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ;

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებები;
- საერთაშორისო სასერტიფიკაციო ორგანოების მიერ გაცემული აღიარებები;
- ამოქმედებულია ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები პარტნიორ, ევროპულ უმაღლეს სასწავლებელთან ერთად;
- შექმნილია და დაინსტალირებულია ახალი ლაბორატორიული, ტრენაჟერული და სიმულატორული აღჭურვილობა პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად;

მიზანი 2. სწავლის, სწავლებისა და წვრთნის ხარისხის გაუმჯობესება

ძირითადი ამოცანები:

1. ოპტიმალური სტუდენტური კონტინენტის გამოთვლის მეთოდების განვითარება;
2. სათანადოდ მომზადებული და ოპტიმალური რაოდენობის სტუდენტური კონტინენტის მოზიდვა, მათი ჩარიცხვა და შენარჩუნება;
3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ეფექტიანობის რეგულარული შეფასება და გაუმჯობესება;
4. კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლების შენარჩუნებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
5. ახალი, თანამედროვე დარგობრივი კომპეტენციებითა და სამუშაო გამოცდილებით აღჭურვილი კადრების მოწვევა და ჩაბმა საგანმანათლებლო პროცესში;
6. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების პროცედურების განვითარება;
7. აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის საქმიანობის სისტემატური შეფასება და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით;

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ან „დრაფტი“. რევიზია აქვს დაატანა პროცესში პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ მათი დანიშნულება არ არის დატანა პროცესში. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

8. წარმატებული პედაგოგიური გამოცდილების (კარგი პრაქტიკის) გაზიარება მაღალრეიტინგულ ეროვნულ და ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით;
9. აკადემიური და მოწვეული პედაგოგიური პერსონალის წახალისებისა და განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
10. სტუდენტთა მოტივირებისა და წახალისების პროცედურების გაუმჯობესება;
11. რეგულარული ღონისძიებების ინიცირება საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე გენდერული ბალანსის გასაუმჯობესებლად;
12. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწა;

შესრულების მაჩვენებლები:

- შემუშავებულია და ამოქმედებულია სტუდენტთა ოპტიმალური კონტინგენტის გამოთვლის მეთოდოლოგია და პროცედურა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების სტაბილური ჩარიცხვა;
- საზღვაოსნო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების დაშვება ინგლისური ენით;
- ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტების საშუალო რეიტინგული ქულა და გრანტირებული სტუდენტების რაოდენობის ყოველწლიური ზრდის პოზიტიური დინამიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამებიდან მობილობით გადინებული სტუდენტების რაოდენობის უარყოფითი დინამიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობით ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის პოზიტიური დინამიკა;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები;

ND 2-O06-01
 სტატუსი: მოქმედი
 რევიზია № 5
 რევიზიის თარიღი 26.07.2019
 მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაიღებს დოკუმენტის არცერთი ნაწილი ან თუ მას არ აქვს რევიზია „აღივებული ვერსიის“ რევიზია ანუ დაკარგა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მაილდებს როგორც „არაოპერირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებელს არ აქვს დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იბილი ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

- საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულებზე საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემული კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ეროვნულ და საერთაშორისო სწავლებებზე/ტრენინგებზე აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის მზარდი ჩართულობა;
- ხარისხის რეგულარული შეფასების ანგარიშებში სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დადებითი ტენდენცია;
- საბიბლიოთეკო ბეჭდური და ელექტრონული რესურსების განახლება-გამდიდრების ყოველწლიური დადებითი დინამიკა;
- საბიბლიოთეკო ბეჭდური და ელექტრონული რესურსების მომხმარებელი სტუდენტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- საბიბლიოთეკო ბეჭდური და ელექტრონული რესურსების მომხმარებელი პერსონალის რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- განათლების საერთაშორისო და ეროვნული სასერტიფიკატო ორგანოებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ საგანმანათლებლო პროცესისა და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის შეფასება;
- მოკლევადიან და გადამზადების კურსებზე მოთხოვნის დადებითი დინამიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა მოთხოვნის დადებითი დინამიკა;
- საზღვაო აკადემიასთან თანამშრომლობის მსურველი დამსაქმებელი ორგანიზაციების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- სტუდენტთა საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენილი და დაჯილდოებული ნაშრომების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- ევროპულ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამებით მივლინებული სტუდენტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოგზაურობის განყოფილება და დოკუმენტაციის განყოფილება ერთობლივად აქტიურად მუშაობენ სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი აზრები და შეხვედრები. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: www.office@bma.edu.ge

მიზანი 3. სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის უნივერსიტეტად გარდაქმნის პროცესის დაწყება

ძირითადი ამოცანები:

1. შიდააკადემიური საგანმანათლებლო და საკვლევო პროექტების ინიცირება და მათი განხორციელებისათვის დაფინანსების წყაროების მოძიება;
2. საერთაშორისო, ეროვნულ და შიდააკადემიურ საკვლევო პროექტებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის წახალისება;
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო კარგი პრაქტიკის იდენტიფიცირება და სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებებისა და იდეების დამუშავება და ამ მიმართულებით ქართულ და ევროპულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის განვითარება.

შესრულების მაჩვენებლები:

- ბიუჯეტში კვლევისთვის გათვალისწინებული რესურსების არსებობა;
- საგრანტო და კვლევით პროექტებში მონაწილეობა;
- პლაგიატის შემთხვევების პრევენციის, გამოვლენის, აღმოფხვრის და აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშეწყობის მექანიზმების არსებობა;
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში ჩართულობა;
- კვლევითი საქმიანობის წახალისების სისტემის არსებობა;
- კვლევით საქმიანობაში ჩართული სტუდენტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- დაფინანსებული საკვლევო პროექტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;

- რეფერირებად გამოცემებში აკადემიის პერსონალის გამოქვეყნების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- საზღვაო აკადემიის ადგილი უმაღლეს სასწავლებლების რეიტინგებში;

მიზანი 4. სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფის გაუმჯობესება

ძირითადი ამოცანები:

1. დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა და მათთან კომუნიკაციის გაძლიერება;
2. აკადემიის სასწავლო პრაქტიკის უზრუნველყოფის ბაზის გაუმჯობესება;
3. საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკის კომპონენტების გაძლიერება;
4. საზღვაო-საწვრთნელი გემი “CADET”-ის მოდერნიზება, თანამედროვე საზღვაოსნო მოწყობილობებით აღჭურვა და გამოყენების შესაძლებლობების გაფართოება.

შესრულების მაჩვენებლები:

- არსებობს დამსაქმებელთა რეესტრი;
- სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზა;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები;
- საცურაო პრაქტიკის გასავლელად შორეულ ნაოსნობაში მივლინებული სტუდენტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- დამსაქმებელი კომპანიების მიერ მოთხოვნილი კადეტებისა და პრაქტიკანტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- დამსაქმებელ ორგანიზაციებში სტაჟორებად და პრაქტიკანტებად მივლინებული სტუდენტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- გემის ფუნქციური დატვირთვა და გამოყენების ინტენსივობა.

ND 2-O06-01
 სტატუსი: მოქმედი
 რევიზია № 5
 რევიზიის თარიღი 26.07.2019
 მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არცერთი ნაწილი ან/და მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ვერსიისა. რევიზია ასევე დაკანონდა პროცესუალური პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიიღება როგორც „არკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიზის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

მიზანი 5. უწყვეტი განათლებისა და დისტანციური სწავლების განვითარება

ძირითადი ამოცანები:

1. უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა;
2. თანამშრომლობის გაძლიერება უწყვეტი განათლების განმახორციელებელ ინსტიტუციებთან (კარგი პრაქტიკის იდენტიფიცირება);
3. უწყვეტი განათლების მიმართულებების კვლევა, პრიორიტეტული და პერსპექტიული LLL² კურსების დადგენა;
4. უწყვეტი განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის ეფექტური მექანიზმების დანერგვა;
5. მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს შექმნა და მსმენელთა უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი LLL კურსებით/პროგრამებით;
6. დისტანციური და ელექტრონული სწავლების მატერიალური ბაზის შექმნა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა;
7. უწყვეტი განათლების კურსების განმახორციელებელი პერსონალის მომზადება/გადამზადება;
8. უწყვეტი განათლების კურსების ხარისხის უზრუნველყოფა და მუდმივი განვითარება;
9. სასწავლო კურსების ვიდეო ლექციებისა და პრაქტიკული დავალებების ციფრული პაკეტების მომზადება და ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსება;
10. სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების დისტანციური მეთოდების განვითარება.

შესრულების მაჩვენებლები:

- თანამშრომლობითი ურთიერთობების, ერთობლივად განხორციელებული კურსების ზრდის დინამიკა;

² Life Long Learning – სწავლა სიცოცხლის მანძილზე.

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოგზაოდ არ მათილეს დოკუმენტის არცერთი ნაწყვედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დოკუმენტი ვე უზღვდით“. რევიზია ასევე დაატანა პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათილეს როგორც „არსკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე სარისხის სამსახური პასუხისმგებელს არ ეღობს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge

- მუდმივად განახლებადი უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების სტრატეგია;
- უწყვეტი განათლების კურსების შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწა;
- უწყვეტი განათლების კურსების მსმენელთა რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- მეზღვაურთა მომზადება/გადამზადების საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებული მოკლევადიანი კურსების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- შექმნილია და ვებგვერდზე განთავსებულია დისტანციური სწავლების ელექტრონული პლატფორმა;
- მომზადებულია და ელექტრონულად ხელმისაწვდომია სასწავლო კურსების დისტანციური სწავლების პაკეტი;

მიზანი 6. სასწავლო, საწვრთნელი და საკვლევო ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება

ძირითადი ამოცანები:

1. სასწავლო ინვენტარის ტექნიკური აღჭურვილობის რეგულარული განახლება;
2. საბიბლიოთეკო ფონდის რეგულარული განახლება;
3. საბიბლიოთეკო ფონდის ეტაპობრივი დიგიტალიზაცია;
4. შენობა-ნაგებობების მდგომარეობის რეგულარული განახლება;
5. ახალი სასწავლო კორპუსის აშენება და აღჭურვა სწავლების თანამედროვე რესურსებით;
6. შშმ³ პირების მომსახურებისათვის საჭირო გარემოზე მუდმივი ზრუნვა და განვითარება;
7. სასწავლო სივრცეების რეგულარული ადაპტირება სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით;

³ შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არააქტიური დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ვერსიის რევიზია ანუ დატანა პროცესში პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ანუ მათთვის რევიზია „არააქტიური“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებელს არ აქვს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ანუ იხილი ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

8. გემი "CADET"-ის ადაპტირება საგანმანათლებლო პროგრამების, საწვრთნელი კურსების მიზნებისათვის;
9. საზღვაო აკადემიის შენობა-ნაგებობების უზრუნველყოფა შეუზღუდავი, უკაბელო ინტერნეტ-წვდომით;
10. სანავიგაციო ხიდურისა და სამანქანე განყოფილების სიმულატორული სასწავლო კაბინეტების მოწყობა-განახლება;
11. გემისა და ტერმინალის ერთობლივი სატვირთო ოპერაციების სასწავლო სიმულატორის დანერგვა;
12. სამანქანე განყოფილების პრაქტიკული უნარების განმავითარებელი დარბაზის განახლება;
13. აუდიტორიების მოდერნიზირება და აღჭურვა უახლესი კომპიუტერული, ინტერნეტ და სადემონსტრაციო ტექნოლოგიებით;
14. რეალური, ტრენაჟერული და სიმულატორული სასწავლო ლაბორატორიების ტექნიკური და პროგრამული განახლება.

შესრულების მაჩვენებლები:

- განახლებული შენობა-ნაგებობები;
- განახლებული საბიბლიოთეკო ფონდი;
- დიგიტალიზებული საბიბლიოთეკო რესურსების დადებითი დინამიკა;
- ახალი, სწავლების თანამედროვე რესურსებით აღჭურვილი სასწავლო კორპუსი;
- სასწავლო კურსების სპეციფიკის ამსახველი ადაპტირებული გარემო;
- საწვრთნელი გემი აღჭურვილია თანამედროვე საზღვაოსნო მოწყობილობებით და 2-ჯერ გაზრდილია პრაქტიკანტ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა გემზე;
- შეძენილია და ინსტალირებულია 2 ახალი სანავიგაციო ხიდურისა და სამანქანე განყოფილების სიმულატორი;

- სასწავლო აუდიტორიების 90% და ყველა სასწავლო კაბინეტი აღჭურვილია სწავლების თანამედროვე მოწყობილობებით მოწყობა და ამოქმედება;
- უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა ხელმისაწვდომია საზღვაო აკადემიის მთელ ტერიტორიაზე;
- შექმნილია შშმ პირებზე ადაპტირებული გარემო;
- დანერგილია და ფუნქციონირებს შედუღების სიმულატორი;
- დანერგილია და ფუნქციონირებს ამწეს სიმულატორი;
- დანერგილია და ფუნქციონირებს მეთევზე მეზღვაურის სიმულატორი;
- დანერგილია და ფუნქციონირებს გემისა და ტერმინალის ერთობლივი სატვირთო ოპერაციების სიმულატორი;
- სიმულატორებზე და ტრენაჟერებზე განახლებულია პროგრამული უზრუნველყოფა;
- განახლებულია სამანქანე განყოფილების პრაქტიკული უნარების დარბაზი;
- განახლებულია ფიზიკის, ტექნიკური თერმოდინამიკის, ტექნიკური მექანიკის, პნევმატიკის, ჰიდრაულიკის და ავტომატიკის ლაბორატორიები;
- განახლებულია ნავიგაციის სასწავლო კაბინეტების ტექნიკური აღჭურვილობა;
- გემ “CADET”-ზე დაინსტალირებულია ზღვის წყლის სინჯების სხვადასხვა სიღრმიდან ამოღების მოწყობილობა;
- ფუნქციონირებს ზღვის წყლის ანალიზის ლაბორატორია ქიმიური და ბიოლოგიური მინარევების შემადგენლობისა და კონცენტრაციის დასადგენად;
- სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნები განხორციელებული სამშენებლო და სარემონტო საქმიანობების შესახებ.

მიზანი 7. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობი მექანიზმების დახვეწა

ძირითადი ამოცანები:

1. ვაკანტური ადგილების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმის დახვეწა;
2. მაღალკვალიფიციური აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის მოზიდვისა და სამსახურში აყვანის რეგულაციების გაუმჯობესება/დახვეწა კარგი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე;
3. აკადემიური თავისუფლების პრინციპების იმპლემენტაციისათვის ხელშეწყობი გარემოს შექმნა;
4. აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარების საშუალებებისა და მეთოდების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
5. აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
6. აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის საერთაშორისო და ეროვნულ კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის წახალისება.
7. სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ტექნიკაზე პერსონალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
8. სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებების რეგულარული ორგანიზებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა;
9. გამომცემლობითი საქმიანობის ხელშეწყობა.

შესრულების მაჩვენებლები:

- დასაქმების განახლებული რეგულაციები;
- დასაქმების ელექტრონულ, ქსელურ, საინფორმაციო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა;

- აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა გამოკითხვებში კმაყოფილების ზრდა;
- კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების ჩართულობის ზრდის დინამიკა;
- აკადემიასთან აფილირებული პერსონალის პუბლიკაციათა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის დადებითი დინამიკა;
- უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში აკადემიური პერსონალის და სტუდენტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსების ზრდა.

მიზანი 8. *სამუშაო პირობების გაუმჯობესება*

ძირითადი ამოცანები:

1. პერსონალის მიერ თანამდებობრივი ფუნქციების, მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი გარემოს რეგულარული განახლება-ადაპტირება;
2. სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ტექნიკაზე პერსონალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
3. პერსონალის პიროვნული შესაძლებლობების გამოვლენისათვის აუცილებელი გარემოს ხელშეწყობა;
4. პერსონალისთვის არასამსახურებრივი კომუნიკაციის ხელშეწყობა;
5. ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კოლეგიალური ურთიერთობების ხელშეწყობი გარემოს შექმნა;
6. პერსონალის გადამზადების ღონისძიებების რეგულარული ჩატარების ხელშეწყობა;
7. პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის მექანიზმების დახვეწა;

8. პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების შესწავლის მექანიზმების დახვეწა;

შესრულების მაჩვენებლები:

- განახლებული, ადაპტირებული სამუშაო და საკომუნიკაციო/სარელაქსაციო სივრცეები;
- განახლებული ტექნიკა და მოწყობილობა-დანადგარები;
- პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისი რეგულაციები;
- პერსონალის კმაყოფილების შესწავლის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

მიზანი 9. თანამშრომლობის გაძლიერება დასაქმების სფეროსთან, დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებთან

ძირითადი ამოცანები:

1. დამსაქმებელთა რეესტრის შექმნა;
2. დამსაქმებლებთან სისტემური თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება და დანერგვა;
3. დამსაქმებლების ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, აკრედიტაციის და კურსდამთავრებულებზე კვალიფიკაციის მინიჭების პროცესებში;
4. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბება;

შესრულების მაჩვენებლები:

- საზღვაო აკადემიაში რეგულარულად ტარდება დასაქმების ფორუმები, შედეგები საჯაროვდება და გაითვალისწინება საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო

სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმებსა და გადაწყვეტილებებში;

- ფაკულტეტებზე და პროფესიული დასაქმების ცენტში რეგულარულად აღირიცხება კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების დადებითი დინამიკა;

მიზანი 10. თანამშრომლობის გაძლიერება ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან, ინტერნაციონალიზაციის განვითარება

ძირითადი ამოცანები:

1. თანამშრომლობის არსებული მემორანდუმების განახლება, შინაარსობრივი დაზუსტება და რეალიზაციის ინსტრუმენტების დახვეწა;
2. ახალი თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება;
3. საგრანტო პროექტების კუთხით საქმიანობის გააქტიურება დონორ ორგანიზაციებთან;
4. პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებული გამოცდილების გაზიარება საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებისა და განხორციელების სფეროში;
5. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ინიცირება და წახალისება;
6. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და ეტაპობრივი დანერგვა;

შესრულების მაჩვენებლები:

- ეროვნულ და უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მემორანდუმების რაოდენობის ზრდა;

- ერთობლივი პროექტების განხორციელების სამოქმედო გეგმების დადებითი დინამიკა;
- ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგრანტო და გაცვლითი პროგრამების დადებითი დინამიკა;
- დაფინანსებული საგრანტო პროექტების დადებითი დინამიკა;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ამოქმედება;
- უცხოელი პროფესორების/დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარებული ლექციების დადებითი დინამიკა;
- გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალის დადებითი დინამიკა;

მიზანი 11. *ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა*

ძირითადი ამოცანები:

1. დასაქმების საერთაშორისო ბაზრის კვლევა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების მიზანშეწონილობის შესაფასებლად;
2. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური პერსონალის შერჩევა-მომზადება;
3. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და ამოქმედება, მათ შორის პარტნიორ ევროპულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გზით;

შესრულების მაჩვენებლები:

- დასაქმების საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების ყოველწლიური ანალიზის შედეგები;
- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ან თანამშრომლობის მზაობის დამადასტურებელი აქტები;

ND 2-O06-01
 სტატუსი: მოქმედი
 რევიზია № 5
 რევიზიის თარიღი 26.07.2019
 მოქმედებაშია 02.09.2010

მოგზაოდ არ მიაღწილას ფოკუსირების არგონია ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ვერსიის რევიზია ასლი დაიკავებს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ასლი მიაღწილას როგორც „რეკონსტრუქციის“ დოკუმენტი და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. ფოკუსირების ბილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედება.

მიზანი 12. საზღვაო აკადემიის მართვის ხარისხის გაუმჯობესება, ხარისხის სისტემის განვითარება. საზღვაო აკადემიის რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება

ძირითადი ამოცანები:

1. მართვის პროცესში პერსონალის ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა და წახალისება, მართვის სისტემის გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
2. კომუნიკაციის გაუმჯობესება სტუდენტურ თვითმმართველობასთან;
3. მართვის სისტემის შეფასების შიდა მექანიზმების ინდიკატორების დახვეწა და მისი ეფექტიანობის ამაღლება;
4. რისკებისა და საფრთხეების შეფასებისა და პრევენციის პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია კარგი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე;
5. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების რეგულარული გადამზადება;
6. თანამშრომლობის გაუმჯობესება ხარისხის მართვის სტანდარტის მასერტიფიცირებელ ორგანიზაციებთან;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობის გაძლიერება პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ანალოგიურ სამსახურებთან, კარგი პრაქტიკის იდენტიფიცირება;
8. შიდა შეფასების ინსტრუმენტების განვითარება;
9. ხარისხის სისტემის გაუმჯობესების მექანიზმების დახვეწა, ხარისხის კულტურის ამაღლების მექანიზმების განვითარება;
10. საინფორმაციო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა საზღვაო აკადემიის საქმიანობის საზოგადოებისათვის გასაცნობად;

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი ვერსიის“ რევიზია ანუ დაატანა პროცესში პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ მათი დანიშნულება რევიზია „რეკონსტრუქციის“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

11. საზღვაო აკადემიის მეგობართა კორპუსის ჩამოყალიბება;
12. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაციის მდგრადი სისტემის შექმნა;
13. ღია კარის დღის პრაქტიკის გამყარება;
14. საზღვაო აკადემიის ჩამოყალიბება დარგის წარჩინებულ წარმომადგენელთა მიღწევებისა და გამოცდილების გაზიარების კერად;
15. სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობის წახალისება საგანმანათლებლო კვლევით ღონისძიებებში.

შესრულების მაჩვენებლები:

- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის სტანდარტის სასერტიფიკატო ორგანოების შეფასებები და სერტიფიკატები;
- რისკების, საფრთხეების შეფასებისა და პრევენციის ამოქმედებული პოლიტიკა;
- პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები და ერთობლივად განხორციელებული პროექტები/ღონისძიებები;
- პერსონალის გადამზადების დამადასტურებელი აქტები;
- აკადემიის მეგობრის სტატუსის დაფუძნება და შესაბამისი რეესტრი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაციის პოლიტიკა და ღონისძიებების დინამიკა;
- დარგის წარჩინებულ წარმომადგენელთა მიერ აკადემიაში ჩატარებული ღონისძიებების დადებითი დინამიკა;
- სარეიტინგო ბაზებში პოზიციის გაუმჯობესება;

მიზანი 13. სტუდენტზე ორიენტირებული სერვისებისა და კარიერული განვითარების მექანიზმების დანერგვა

ძირითადი ამოცანები:

1. სტუდენტური სერვისების განვითარებაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარება;
2. სტუდენტური სერვისების წარმატებული გამოცდილების (კარგი პრაქტიკის) შესწავლა;
3. კვლევის შედეგების და საუკეთესო გამოცდილების დამკვიდრების ხელშეწყობა;
4. სტუდენტურ სერვისებზე ორიენტირებული სამსახურების ფუნქციონალური განვითარება და მატერიალური ხელშეწყობა;
5. სტუდენტური სერვისების გამრავალფეროვნება;
6. სოციალური მხარდაჭერის საჭიროების მქონე სტუდენტთა დახმარების მდგრადი სისტემის დანერგვა;
7. სტუდენტთა მატერიალური და ფინანსური წახალისების პრაქტიკის დამკვიდრება (სისტემატიზაცია);
8. კურიკულუმს ფარგლებს გარეთ სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზების წახალისება;
9. სპორტის (მათ შორის საკლუბო) განვითარების ხელშეწყობა;
10. სპორტული და სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარება;
11. სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა;
12. კარიერული განვითარების ხელშეწყობის მდგრადი სისტემის დანერგვა.

შესრულების მაჩვენებლები:

- დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგები;
- საუკეთესო გამოცდილებაზე (კარგ პრაქტიკაზე) დაფუძნებული სერვისები;

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაიღებს ფილტვის არგონი ნაქმედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფული ვ. ზემლარი“. რევიზია ასლზე დაკანონა პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათივე რევიზია „რეკონტროლირებადი“ ფილტვის და მასზე ბარისის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. ფილტვის ბილი და კონტროლირებადი ასლი იბილი ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

- სტუდენტთა წახალისებისათვის და სოციალური მხარდაჭერისათვის გამოყოფილი მატერიალური და ფინანსური მდგრადობა და ზრდა;
- სტუდენტური ღონისძიებებისა და სერვისების მრავალფეროვნება;
- კურსდამთავრებულთა რეესტრის შექმნა;
- დამსაქმებელთა რეესტრის შექმნა;

8. პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი მიზნების მისაღწევად შესასრულებელი ძირითადი ამოცანები და შესრულების მაჩვენებლები

მიზანი.1. თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად დარგის მოქმედი სპეციალისტების მოზიდვის, მათი პედაგოგებად და ტრენერებად მომზადებისა და განვითარების მექანიზმების ჩამოყალიბება;

ძირითადი ამოცანები:

1. პროფესიული მასწავლებლების დაქირავების, მომზადებისა ან/და გადამზადების მექანიზმების ჩამოყალიბება;
2. პროფესიული მასწავლებლების მუშაობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საკომუნიკაციო სივრცის მოწყობა, რომელიც აღჭურვილი იქნება ინტერნეტით, თანამედროვე ორგტექნიკით, სადემონსტრაციო და საბეჭდ-გამამრავლებელი მოწყობილობებით;
3. სტუდენტთა მომზადებისა პროცესში დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტების მოზიდვის მიზნით თანამშრომლობის მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება დამსაქმებელ დაწესებულებებთან;

შესრულების მაჩვენებლები:

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაიღებს ფილტვის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ვერსიისა. რევიზია ახლედ დაკანონდა პროცესში პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლი მათივე რევიზია „რევიზია“ ფილტვის და მასზე სარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. ფილტვისი ბოლო და კონტროლირებადი ახლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

- სენატის მიერ დამტკიცებულია პროფესიული მასწავლებლების დაქირავების, მომზადებისა და გადამზადების პროცედურა ან წესი;
- პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულების დამსაქმებელ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია მათი მონაწილეობა სწავლების პროცესში;
- პროფესიული მომზადების ცენტრში გამოყოფილია და სათანადო აღჭურვილობით მოწყობილია პროფესიულ მასწავლებელთა სამუშაო და საკომუნიკაციო სივრცე.

მიზანი.2. პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო სასწავლო და საწვრთნელი რესურსებისა და ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება, პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფა სრულფასოვანი საწარმოო პრაქტიკით;

ძირითადი ამოცანები:

1. სტუდენტთა სრულფასოვანი საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობის მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება დამსაქმებელ დაწესებულებებთან;
2. საზღვაო აკადემიის საამქროების აღჭურვა თანამედროვე ინდუსტრიაში არსებული მოწყობილობებითა და დანადგარებით ან/და ინდუსტრიასთან მიახლოებული სიმულაციებით;
3. სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ეფექტურობის გაზრდის მიზნით პრაქტიკის დღიურების მომზადება და გამოყენება პრაქტიკის კომპონენტის შეფასების პროცესში;

შესრულების მაჩვენებლები:

- პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულების დამსაქმებელ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გატარების ვალდებულება;
- პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს პროფესიული სტუდენტები გადიან თანამედროვე ინდუსტრიაში არსებული მოწყობილობებითა და დანადგარებით კარგად აღჭურვილ საამქროებში ან/და ინდუსტრიათა მიახლოებულ სიმულატორებზე;
- ყოველი პროფესიული პროგრამისათვის მომზადებულია სტუდენტის პრაქტიკის დღიურები;
- სტუდენტების მიერ პრაქტიკის შეფასება ამ მიზნით სპეციალურად მომზადებული გამოკითხვის კითხვარის საშუალებით.

მიზანი.3. დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი კვალიფიკაციების ამაღლების და გადამზადების მოკლევადიანი ტრენინგ კურსების განვითარება;

ძირითადი ამოცანები:

1. თანამშრომლობის დამყარება დასაქმების ბაზარის კვლევაში ჩართულ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან მოთხოვნადი პროფესიებისა და კვალიფიკაციების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვების მიზნით;
2. დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და კვალიფიკაციების გადამზადების მოკლევადიანი ტრენინგ კურსების შემუშავება და ამოქმედება (საჭიროების შემთხვევაში აკრედიტირება);
3. მოკლევადიანი კურსების განსახორციელებლად შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალის მომზადება და მაღალი დონის ტრენინგების მომზადება ან/და მოწვევა;
4. მოკლევადიანი კურსების ადმინისტრირებისა და განხორციელებისათვის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ტრენინგ-სივრცეების მომზადება;

შესრულების მაჩვენებლები:

- პროფესიული მომზადების ცენტრში შექმნილია დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და კვალიფიკაციების რეესტრი;
- მომზადებულია მოკლევადიანი პროფესიული ტრენინგ კურსების განხორციელების პროცედურა;
- მომზადებულია და სენატის მიერ დამტკიცებულია მოკლევადიანი პროფესიული ტრენინგ კურსები შესაბამისი კვალიფიკაციებით;
- აკრედიტებულია მოკლევადიანი კურსები, რომელიც კანონით ექვემდებარება აკრედიტირებას;
- კურსების ორანიზებული განხორციელებისათვის მომზადებულია შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი და განსაზღვრულია მათი უფლება მოვალეობები;
- კურსების განმახორციელებელ ტრენერებს გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადების ტრენინგები, რაც დასტურდება სერტიფიკატებით;
- გამოყოფილია და სათანადო სატრენინგო მოწყობილობებით აღჭურვილია საწვრთნელი სივრცეები.

მიზანი.4. კურსდამთავრებულებზე მინიჭებული კვალიფიკაციების ცნობადობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა;

ძირითადი ამოცანები:

1. კურსდამთავრებულებზე მინიჭებული კვალიფიკაციების ცნობადობის ასამაღლებლად და დასაქმების ხელშესაწყობად თანამშრომლობის გაძლიერება დამსაქმებელი ინდუსტრიის სფეროსთან;
2. პროფესიული განათლების ხარისხისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების ცნობადობის ასამაღლებლად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგ კურსების სერტიფიცირება ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული და საერთაშორისო საკლასიფიკაციო ორგანიზაციების მიერ;

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი ვერსიონი“. რევიზია ასევე დაკანონდა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათთვის როგორც „არსებობს“ დოკუმენტი და მასზე ბარიერის სამსახური პასუხისმგებელს არ ეფუძნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

3. პროფესიული განათლების საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება დაბეჭდილი და ელექტრონული ფორმით ინტერნეტის რესურსების გამოყენებით, საინფორმაციო ღია კარის დღეების რეგულარულად ორგანიზება.

შესრულების მაჩვენებლები:

- დამსაქმებელ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახულია პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულის სტაჟირებისა და შემდგომი დასაქმების შესაძლებლობები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები აკრედიტებულია/აღიარებულია/სერტიფიცირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ;
- მომზადებულია და დაბეჭდილია საინფორმაციო ბუკლეტი-გზამკვლევი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების შესახებ;
- საზღვაო აკადემიის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში ატვირთულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების საინფორმაციო ბუკლეტი-გზამკვლევი.

9. გეგმის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

განვითარების 7-წლიანი სტრატეგიული გეგმით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის სამუშაო ჯგუფმა საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან თანამშრომლობით დაადგინა გეგმის შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯების სავარაუდო რაოდენობა, რომელიც გამომდინარეობს სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის შემუშავებული დეტალური ბიუჯეტის ჯამური ოდენობიდან.

სამწლიანი სამოქმედო გეგმის (2018-2020 წწ) ბიუჯეტი

№	ხარჯების დასახელება კლასიფიკაციის მიხედვით	გეგმის შესრულებაზე გამოყოფილი ხარჯები ლარებში	განმარტებები გეგმასთან მიმართებაში
---	--	---	------------------------------------

ND 2-O06-01
 სტატუსი: მოქმედი
 რევიზია № 5
 რევიზიის თარიღი 26.07.2019
 მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არსებითი ნაწილი ან/და თუ მას არ აქვს რევიზია „აღიწილი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანა პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებაში ან/და მითითებულია რევიზია „არსებულ ვერსიის“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

		2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	სულ:	
1.	თანამშრომელთა მივლინება	12 000	150 000	150 000	312 000	დასახული მიზნებიდან გამომდინარე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მივლინება.
2.	წარმომადგენლობითი ხარჯები	30 000	40 000	50 000	120 000	ქართველი და უცხოელი პროფესორების/ექსპერტების მოწვევა ქართული და უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.
3.	კადრების მომზადება - გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები	10 000	50 000	70 000	130 000	სასწავლებლის აკადემიური მხარის გასაუმჯობესებლად ლექტორ-მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის სწავლება-გადამზადება.
4.	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯები	25 000	50 000	60 000	135 000	აკადემიის პოპულარიზაციის და სამუშაო გამოცდილების გაზიარება/გაცვლა
5.	საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯები.	350 000	10 000	50 000	410 000	ქართული და უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო მეთოდოლოგიის შემუშავება
6.	აუდიტორული მომსახურების ხარჯები	15 000	25 000	50 000	90 000	ფინანსური და ხარისხის სისტემის აუდიტი.
7.	კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები	25 000	40 000	60 000	125 000	სტუდენტთა და თანამშრომელთა მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში.
8.	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	22000	25000	30000	77000	სტუდენტთა აქტივობები სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში
9.	გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებზე	20 000	20 000	20 000	60 000	საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსებული დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი ვერსიის“ რევიზია ასევე დაიქნება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ანუ მითითება როგორც „რევიზიის რევიზია“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იქნება. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge

10.	გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე	12 800	30 000	50 000	92 800	სხვადასხვა საგრანტო პროექტების დაფინანსება და თანადაფინანსება
11.	ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	250 000	250 000	250 000	750 000	სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასთან დაკავშირებული გემის ექსპლუატაციის ხარჯები
12.	სხვა მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	65 000	100 000	30 000	195 000	სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის საჭირო სასწავლო ინვენტარის ხარჯი.
13.	შენობა-ნაგებობების რემონტი	770 000	300 000	650 000	1 720 000	სასწავლო ფართის რეაბილიტაცია/გაზრდა
14.	სასწავლო,საწვრთნელი და კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება	1 470 000	1 650 000	1 760 000	4 880 000	სასწავლო და კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განახლება, მოდერნიზება თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად
15.	პრემია	120 000	120 000	120 000	360 000	აკადემიური პერსონალის წახალისება მატერიალური ფორმით
16.	სხვა სახელობის სტიპენდიებისა და გრანტების ხარჯი	15 000	20 000	30 000	65 000	წარჩინებული სტუდენტების წახალისება მატერიალური ფორმით
	სულ ჯამი	3 076 800	2 740 000	3 280 000	9 096 800	

ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ სამწლიანი (2018-2020 წწ) სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საზღვაო აკადემია საკუთარი შემოსავლებით ფორმირებული ბიუჯეტიდან გეგმავს ჯამში 9 096 800 (ცხრა მილიონ ოთხმოცდათექვსმეტი ათასი) ლარის გამოყენებას.

7-წლიანი სტრატეგიული გეგმის დარჩენილი 4 წლის დეტალური (სამოქმედო) გეგმის შედგენა განხორციელდება 3-წლიანი გეგმის დასრულების შემდეგ, 3-წლიანი

ND 2-O06-01

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 02.09.2010

მოქმედებს არსაიღებს დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტი“ ან „რევიზია“ ასევე დაატანა პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ანუ მითითება რევიზია „არაპროლონგაცია“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და ვიზუალიზაცია ანუ მითითებული ვებგვერდი www.office.bma.edu.ge

გეგმის შესრულების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ამ პერიოდში წარმოქმნილი ახალი გარემოებების გათვალისწინებით.

საზღვაო აკადემიამ გადაწყვიტა საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოს 22 742 000 (ოცდაორი მილიონ შვიდასორმოცდაორი ათასი) ლარი 7-წლიანი (2018-2024 წწ) სტრატეგიული გეგმით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

წარმატების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს:

- საზღვაო აკადემიის კომპეტენტური პერსონალი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული დასახული მიზნების შესრულების მნიშვნელობა;
- მოტივირებული და მიზანდასახული სტუდენტები, რომლებიც ესწრაფვიან მიიღონ სრულფასოვანი, დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი განათლება;
- სათანამშრომლოდ მზად მყოფი დამსაქმებლები, რომლებიც დაინტერესებული არიან მაღალკვალიფიცირებული და კომპეტენტური კადრების მომზადებით და დარგის განვითარებისათვის შესასრულებელი კვლევებით;
- დაინტერესებული საზღვაო და ფართო საზოგადოება, რომლის მხარდაჭერისა და კრიტიკული შეფასების გარეშე შეუძლებელია სწორი გზით განვითარება.

10. მონიტორინგი და ხარისხის უზრუნველყოფა

განვითარების სტრატეგიული გეგმის რეგულარულ მონიტორინგს, არანაკლებ ერთხელ კალენდარული წლის განმავლობაში გეგმავს და ახორციელებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ახალი საანგარიშო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში წარუდგენს ანგარიშს სენატს.

სენატი წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ღებულობს გადაწყვეტილებას სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის დადებითად ან უარყოფითად შეფასების შესახებ;

სამოქმედო გეგმის შესრულების უარყოფითად შეფასების შემთხვევაში სენატი განიხილავს გამოვლენილი ხარვეზების ხარისხს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ:

- გამოვლენილი ხარვეზების გასწორება შესაძლებელია არაუმეტეს სამი თვის ვადაში და არ საჭიროებს ბიუჯეტის კორექტირებას, მაშინ სენატი განსაზღვრავს ხარვეზებთან დაკავშირებით მაკორექტირებელი გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირს;

მაკორექტირებელი გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა რექტორს წარუდგენს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების გეგმას, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოების, შემსრულებელი პირებისა და შესრულების ვადების შესახებ;

მაკორექტირებელი გეგმა მტკიცდება რექტორის შესაბამისი ბრძანებით;

- გამოვლენილი ხარვეზები არ ექვემდებარება გამოსწორებას, განხორციელდება სამოქმედო გეგმის კორექტირება და ხელახალი დამტკიცება;

რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია შეისწავლის გამოვლენილი ხარვეზების წარმოშობის მიზეზებს და შედეგებს წარუდგენს სენატს პრევენციული გადაწყვეტილების მისაღებად.

სტრატეგიულ და სამწლიან სამოქმედო გეგმებში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს საზღვაო აკადემიის რექტორის პირველი მოადგილე, საზღვაო აკადემიის ბიუჯეტის შესაბამისად;

საერთო ზედამხედველობას სტრატეგიულ გეგმაში დასახული ამოცანების შესრულებაზე ახორციელებს საზღვაო აკადემიის რექტორი.